ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4970777

ნომერი: AR1751580

თარიღი : 02.06.2020

გაცემის თარიღი : 16.06.2020

გაცნობის თარიღი : 16.06.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლუბლიანას ქუჩა, N 13დ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ თავართქილაძე პ/ნ 01015004708
- თბილისი ვერცხლის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 თებერვლის №220 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 02 ივნისს №AR1751580განცხადებით მომართა მალხაზ თავართქილაძემდა მოითხოვა ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 თებერვლის№220 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო კოდისდაფიქსირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისში, სექტორი დიდუბე, ლუბლიანას ქ. #5-ში (ნაკვ. 09/018), (№ 01.13.02.009.018 (5841კვ.მ.) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე თვალის კლინიკის აშენების მიზნით 2010 წლის 12 თებერვალს დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები №220 .

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ შეიცვალა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ფართისა და კონფიგურაციის ცვლილების გარეშე.
დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 თებერვლის №220 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას და ახალი საკადასტრო გეგმის (ს/კ №01.13.02.009.044) (5841კვ.მ) დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 თებერვლის №220 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 თებერვლის №220 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: (ს/კ №01.13.02.009.044) , ფართობი 5841 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი № 882020216483; რეგისტრაციის თარიღი : 24/03/2020 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი N882020216483, რეგისტრაციის თარიღი 20/03/2020 წ.);
2. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 თებერვლის №220 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ · საკადასტრო კოდ(ებ)ი: №01.13.02.009.044 · ფართობი: 5841 მ2.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 12 თებერვლის №220 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვად
1.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.